

2018 წლის

საპროგრესო ანგარიშების კამპანიის დაფინანსება

შინაური ანგარიში



კვლევის ავტორი

გიგი ჩიხლაძე

კვლევის თანაავტორი და ხელმძღვანელი

ლევან ნატროშვილი

ამ ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის ანდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

USAID | **საქართველო**
ამერიკელი ხალხისგან

ძირითადი მიგნებები	4
შესავალი	7
თავი I. ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო	9
თავი II. საპრეზიდენტო კანდიდატების შემოსავლები	10
1. შემონირულებები	13
თავი III. საპრეზიდენტო კანდიდატების ხარჯები	19
თავი IV. ფინანსების გამჭვირვალობა და მასზე ზედამხედველობა	25
რეკომენდაციები	27

2018 წლის 1 აგვისტოდან 15 ოქტომბრის ჩათვლით საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დაფინანსების შესწავლისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოკვეთა:

საპრეზიდენტო კანდიდატების შემოსავლები

- მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა საპრეზიდენტო კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა და კვალიფიციური პარტიების მიერ წარდგენილმა ხუთმა ძირითადმა კანდიდატმა მთლიანობაში 6 762 283 ლარის ოდენობის შემოსავალი (ყველა წყაროდან) მიიღეს;
- ყველაზე მეტი შემოსავალი – 4 145 207 (61%) ლარი სალომე ზურაბიშვილმა მიიღო, შემდეგ მოდის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე 1 360 023 ლარით, ხოლო მესამე ადგილს იკავებს „ევროპული საქართველოს“ მიერ წარდგენილი კანდიდატი დავით ბაქრაძე, მან საანგარიშო პერიოდში 864 046 ლარი მიიღო. მიუხედავად იმისა რომ სალომე ზურაბიშვილი სახელმწიფო დაფინანსებას არ იღებს, მის მიერ მიღებული შემოსავლები მაინც დაახლოებით **სამჯურ** აღემატებოდა გრიგოლ ვაშაძის და **ერთნახევარჯერ** - ხუთივე ოპოზიციური საპრეზიდენტო კანდიდატის ერთად აღებულ შემოსავლებს;
- საბანკო სესხით მხოლოდ სალომე ზურაბიშვილმა ისარგებლა. მან 1 ოქტომბერს „ბანკი ქართუსგან“ 1 მლნ ლარი ისესხა, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი 10%-ს შეადგენს, ხოლო ვადა სამ თვემდეა;
- ექვსმა საპრეზიდენტო კანდიდატმა მთლიანობაში 4 226 120 ლარის ოდენობის შემოწირულება მოიზიდეს, საიდანაც 99% ფიზიკური პირების მიერ გაღებული თანხაა. ამ თანხის უდიდესი ნაწილი 3 105 011 ლარი (73%) სალომე ზურაბიშვილმა მიიღო, შემდეგ მოდის გრიგოლ ვაშაძე 583 820 ლარით, დავით ბაქრაძე – 516 404 ლარით, დავით უსუფაშვილი – 13 290 ლარით, ვახა კუკავა – 6 596 ლარით და შალვა ნათელაშვილი - 1 000 ლარით. ამ მონაცემებით ჩანს, რომ ზურაბიშვილის მიერ მიღებული შემოწირულებები დაახლოებით **ხუთჯერ** აღემატება გრიგოლ ვაშაძის და **ორნახევარჯერ** - ხუთივე ოპოზიციური კანდიდატის ერთად აღებულ შემოწირულებებს;
- სალომე ზურაბიშვილს 148 ფიზიკურმა პირმა შესწირა თანხა, რომელთაგან 92 ადამიანი 356 სხვადასხვა იურიდიულ პირთან არის დაკავშირებული (მეწილე ან დირექტორი). ამ 356 იურიდიულმა პირიდან სულ 18 კომპანია იყო ისეთი, რომლებმაც 2018 წელს¹ მინიმუმ ერთი გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტი მაინც მიიღეს. აღნიშნული კონტრაქტების ჯამური ღირებულება 243 875 ლარი იყო, ხოლო ამ 18 კომპანიასთან დაკავშირებულმა პირებმა ზურაბიშვილს ჯამში 815 008 შესწირეს. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით რაიმე პრობლემური ტენდენცია არ იკვეთება;
- ოქტომბრის დასაწყისში საზოგადოებისა და მედიის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 2 და 3 ოქტომბერს ჩაჩავას და ლუღუშაურის კლინიკების 15-მდე ექიმის მიერ სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ გაღებულმა შემოწირულობებმა. ამ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მესამე პირის მეშვეობით განხორციელებულ შემოწირულებას, რაც ქართული კანონმდებლობით აკრძალულია და ითვალისწინებს ჯარიმას შეწირული თანხის ორმაგი ოდენობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დაწყებული აქვს ამ საქმის შესწავლა;

1 31 ივლისამდე

- სალომე ზურაბიშვილის 148 შემომწირველიდან 46 პირია ისეთი, რომლებმაც წინა წლებში სხვა პარტიასაც შესწირეს თანხა. მათგან 41 ფიზიკური პირი „ქართული ოცნების“ ყოფილი შემომწირველია, რომლებმაც ზურაბიშვილს ჯამში 836 000 ლარი შესწირეს, რაც მთლიანი შემომწირულებების 28%-ია. გასულ წლებში იგივე პირებს „ქართული ოცნებისთვის“ ჯამში დაახლოებით 1 950 000 ლარი აქვთ შეწირული. ასევე, ზურაბიშვილის რვა შემომწირველს 2012 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ აქვს თანხები გაღებული ჯამში 425 000 ლარის ოდენობით;
- ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიები შემომწირულებების მოსაზიდად საჯარო ღონისძიებებსა თუ სხვა სახის კამპანიას თითქმის არ მიმართავენ. წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებში კარგად არის აპრობირებული ასეთი პარტიული კამპანიების ორგანიზება და ამომრჩევლის ფართო ჯგუფებზე გასვლა, რაც მათ შემოსავლების დივერსიფიცირების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, პარტიები რამდენიმე მსხვილ დონორზე არ არიან დამოკიდებული და ნაკლებად არიან გახვეული დაფინანსების კორუფციულ სქემებში. საქართველოში ამას ნაკლებად ვხვდებით, პარტიები დიდ წილად დამოკიდებული არიან სახელმწიფო დაფინანსებაზე. გამონაკლისი მმართველი და რამდენიმე ოპოზიციური პარტია, რომლებიც შემომწირულებებს კი იღებენ, თუმცა ისინი ძირითადად მსხვილ შემომწირველებზე არიან დამოკიდებული, რაც საზოგადოებაში ბევრი კითხვას აჩენს.

საპრეზიდენტო კანდიდატების ხარჯები

- მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა საპრეზიდენტო კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა და კვალიფიციური პარტიების მიერ წარდგენილმა ხუთმა ძირითადმა კანდიდატმა მთლიანობაში 6 911 676 ლარის ხარჯი გაიღეს;
- ხარჯების უდიდესი ნაწილი, 4 124 047 ლარი (60%) სალომე ზურაბიშვილმა გაიღო, მეორე ადგილზე გრიგოლ ვაშაძეა 1 485 604 ლარით, ხოლო მესამეზე - დავით ბაქრაძე 882 313 ლარით. როგორც მონაცემებიდან ჩანს, სალომე ზურაბიშვილის ხარჯები თითქმის **სამჯურ** აღემატება გრიგოლ ვაშაძის და **ერთნახევარჯერ** - ხუთივე ოპოზიციური საპრეზიდენტო კანდიდატის ერთად აღებულ ხარჯებს;
- კანდიდატები საარჩევნო პერიოდში ყველაზე დიდ თანხებს ხარჯავდნენ რეკლამაზე, უძრავი ქონების იჯარასა და ხელფასებზე;
- ზურაბიშვილმა რეკლამაზე 3 368 507 ლარი (მთლიანი ხარჯების 82%) დახარჯა, რაც სხვა კანდიდატების ერთად აღებულ სარეკლამო ხარჯებზე **ორნახევარჯერ** მეტია. ექვსი საპრეზიდენტო კანდიდატის რეკლამაზე მთლიანად 4 678 893 ლარი დაიხარჯა, რომელშიც სალომე ზურაბიშვილის წილი 72% იყო;
- რვა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი კუთვნილ უფასო სარეკლამო დროს სხვა საპრეზიდენტო კანდიდატებს უთმობდა, რაც შემომწირულებად უნდა იქნეს მიჩნეული. ეს კი ქართული კანონმდებლობით აკრძალულია და ისტება შემომწირულების ორმაგი ოდენობის ჯარიმით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დანყებული აქვს ამ საქმის შესწავლა;
- საპრეზიდენტო კანდიდატების ხარჯების შესწავლისას, ასევე, ყურადღება მიიპყრო სალომე ზურაბიშვილის მიერ შრომის ანაზღაურების მიზნით გაღებულმა ხარჯებმა. იმის ფონზე, რომ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მან 4 მლნ ლარზე მეტი დახარჯა, ქვეყნის მასშტაბით აქვს 80 ოფისზე მეტი და ათეულობით წინასაარჩევნო შეხვედრა გამართა, შრომის ანაზღაურებაზე 19 625 ლარი საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. შედარებისთვის, ზოგიერთ სხვა კანდიდატს დაახლოებით **ათჯერ** მეტი თანხა აქვს ამ ტიპის ხარჯებში დეკლარირებული.

სხვა საკითხები

- მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საარჩევნო სუბიექტების ანგარიშგებების სრულყოფილად შევსება. დეკლარაციების აბსოლუტური უმრავლესობა არასრულად და არაერთგვაროვნად არის შევსებული. ანგარიშგებების ბევრ ველში სავალდებულო ინფორმაცია საერთოდ არ არის მითითებული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საარჩევნო სუბიექტებმა კარგად არ იციან თუ როგორ უნდა შეივსოს დეკლარაციები და რა ინფორმაცია რა ფორმით უნდა იყოს მითითებული, ან კიდევ შეგნებულად არ ავსებენ სწორად;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურიც უკვე წლებია ვერ ახერხებს ამ პრობლემის აღმოფხვრას. განსაკუთრებულად რთული მდგომარეობა არის ხარჯებზე ზედამხედველობის კუთხით. აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ მათ ამისთვის საკმარისი რესურსი არ გააჩნიათ;
- ასევე არაეფექტურია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეაგირება საარჩევნო სუბიექტების მიერ საექვო გარემოებებში მიღებული შემოწირულების შესწავლის მხრივაც. გადამოწმების პროცესი დიდხანს იწელება და საბოლოოდ შედეგიც არ არის ხოლმე დამაკმაყოფილებელი;
- აუდიტის სამსახურს ჯერ-ჯერობით არც ერთი დარღვევა არ გამოუვლენია;
- კვლავ გამოწვევად რჩება პოლიტიკური შინაარსის მქონე „ფეისბუქით“ დაფინანსებული საინფორმაციო მასალის გამჭვირვალობის საკითხი. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ობიექტური მიზნებით ვერ ახერხებს ამ მასალების დამფინანსებლების გამოვლენას.

პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენტული გარემოს არსებობა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველია. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს არჩევანი სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს შორის, რათა არ მოხდეს ერთპიროვნული სახელმწიფო მმართველობის ჩამოყალიბება. პოლიტიკური პარტიების სიძლიერე და პოპულარობა კი დიდ წილად მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული. გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში ხშირად ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს დაფინანსების მოპოვება უჭირთ ხოლმე და ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ გუნდს ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს. ეს კი ასუსტებს კონკურენციას პოლიტიკურ პარტიებს შორის, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შეფერხებისკენ. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, საზოგადოებისთვის საინტერესო უნდა იყოს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წლებია უკვე, რაც სწავლობს და პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშებს.

ამჯერად წარმოგიდგინთ კვლევას, რომელშიც გაანალიზებულია 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხი. კანონმდებლობის შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანია საქართველოში 1 აგვისტოდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც პრემიერმინისტრის კონტრასიგნებით პრეზიდენტის ბრძანებულება გამოქვეყნდა.² წინამდებარე შუალედური კვლევის საანგარიშო პერიოდი მოიცავს 1 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე არსებულ პერიოდს. საბოლოო ანგარიში არჩევნების შემდეგ გამოქვეყნდება, რომელიც საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას სრულად მიმოიხილავს.

რაც შეეხება კვლევის სუბიექტებს, ამ მხრივ საქართველოში უპრეცედენტო ვითარება შეიქმნა, რადგან მმართველმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატი არ წარადგინა და ღიად უჭერს მხარს ფორმალურად დამოკიდებულ, საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს. ამ კანდიდატის გარდა კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენს კიდევ ხუთი კანდიდატის საარჩევნო კამპანიის დაფინანსება, რომლებიც სხვადასხვა კვალიფიციური პოლიტიკური პარტიის³ მიერ არიან წარდგენილები. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურად დარეგისტრირებული 25 საპრეზიდენტო კანდიდატიდან ზოგიერთი მხოლოდ ფორმალურად მონაწილეობს არჩევნებში და ღიად უჭერს მხარს სხვა კანდიდატს. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია არაფორმალური გაერთიანება „ძალა ერთობაშია“, რომლის საპრეზიდენტო კანდიდატი არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი გრიგოლ ვაშაძე. ვაშაძეს მინიმუმ ოთხი სხვა საპრეზიდენტო კანდიდატი ღიად უჭერს მხარს და საკუთარ რესურსსაც კი ახმარს მას. აქედან გამომდინარე, გრიგოლ ვაშაძის ფინანსებს ამ ოთხი ე.წ. „ტექნიკური კანდიდატის“ ფინანსებთან ერთად მიმოვიხილავთ. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატებს შორის ასეთი თანამშრომლობა ზოგ შემთხვევაში კანონის ფარგლებსაც შეიძლება გასცდეს, შესაბამისად, ასეთ შემთხვევებსაც ვაანალიზებთ. ამრიგად, კვლევა აქცენტს აკეთებს შემდეგ საარჩევნო სუბიექტების ფინანსებზე:

2 საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N01/08/02, 2018: <https://bit.ly/2ytQhtQ>

3 საქართველოს „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად კვალიფიციურია პარტია, რომელიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებულ პირდაპირ სახელმწიფო დაფინანსებას იღებს

#2 დავით ბაქრაძე - „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“

#5 გრიგოლ ვაშაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

ასევე, მის სასარგებლოდ მომუშავე სხვა საარჩევნო სუბიექტები:

- #1 მიხეილ ანთაძე - „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“
- #13 ზვიად მესხატიშვილი - მპკ „საქართველოს ქრისტიან- კონსერვატიული პარტია“
- #22 ზვიად ბაღდავაძე - პ/გ „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“
- #27 ზვიად იაშვილი - პ/გ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ (ედპ)

#10 შალვა ნათელაშვილი - „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“

#21 კახა კუკავა - „თავისუფალი საქართველო“

#25 დავით უსუფაშვილი - „თავისუფალი დემოკრატები“.

#48 სალომე ბურაბიშვილი - ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი

მონაცემები ძირითადად აღებულია საარჩევნო სუბიექტების მიერ შევსებული საარჩევნო კამპანიის სამკვირიანი ფინანსური დეკლარაციებიდან, რომლებიც ატვირთულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე⁴. საარჩევნო სუბიექტებმა ამ ეტაპისთვის უკვე ოთხი ასეთი დეკლარაცია წარადგინეს. გარდა ამისა, საპრეზიდენტო კანდიდატების შემომწირველების ბიზნესთან კავშირებისა და სახელმწიფო შესყიდვებში მათი ინტერესების დასადგენად გამოვიყენეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ვებგვერდი www.politicaldonations.ge.

ანგარიში მომზადდა კანონმდებლობის, ასევე, სტატისტიკური მონაცემების თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე. კვლევის მეთოდოლოგიის გარკვეული ნაწილი დაფუძნებულია ეუთო-ოდირის (OSCE-ODIHR) საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე დაკვირვების სახელმძღვანელოზე⁵. ანგარიშის ზოგიერთი ნაწილი აღებულია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წინა ანგარიშებიდან.

კვლევის დასაწყისში მიმოხილულია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საქართველოში არსებული ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო. შემდეგ თავებში განხილულია უფრო კონკრეტული საკითხები. კერძოდ, ცალკე თავები ეთმობა საპრეზიდენტო კანდიდატების შემოსავლებსა და ხარჯებს, ასევე, ფინანსების გამჭვირვალობას და მასზე ზედამხედველობას. ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია რეკომენდაციები.

4 www.monitoring.sao.ge

5 <http://www.osce.org/odihr/elections/135516?download=true>

თავი I. ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო აქტით რეგულირდება. რეგულირების სფერო, თავის მხრივ, მოიცავს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოწირულობების და ხარჯების აღრიცხვას, ასევე, მათი გამჭვირვალობის და კანონით განსაზღვრული ვალდებულებების ეფექტური აღსრულების უზრუნველყოფას.

პოლიტიკური დაფინანსების რეგულირების ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია ორგანული კანონებით **„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“** და **„საარჩევნო კოდექსი“**, ასევე, კანონებით - **„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“**, **„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“**, **„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“** - და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანებით. აღნიშნულ აქტებში 2018 წელს ისეთი ცვლილება არ შესულა, რაც პოლიტიკური პარტიების დაფინანსების რომელიმე საკითხს შეცვლიდა.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს იმ პირებს ვისზეც ვრცელდება პოლიტიკურ ფინანსებთან დაკავშირებული შემზღვევლი რეგულირებები. კერძოდ, ზემოაღნიშნული კანონი იცნობს, როგორც პოლიტიკური პარტიის, ასევე განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის ცნებას. კანონის თანახმად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს კანონმდებლობაში სპეციალური რეგულირება არსებობს საარჩევნო კამპანიისთვის / წინასაარჩევნო პერიოდისთვის. საარჩევნო კამპანია ოფიციალურად მაშინ იწყება, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერმინისტრის კონტრასიგნაციით გამოაქვეყნებს არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ ბრძანებულებას. არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები ან საინიციატივო ჯგუფები კანდიდატის წარდგენის მიზნით არჩევნებამდე არაუგვიანეს 50 დღისა მიმართავენ ცესკოს თავმჯდომარეს. რეგისტრაციის შემდეგ საპრეზიდენტო კანდიდატი ხდება საარჩევნო სუბიექტი, რომელმაც ყოველ სამ კვირაში ერთხელ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უნდა წარუდგინოს მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების ამსახველი ფინანსური დეკლარაციები. არჩევნების შედეგების შეჯამების შემდეგ კი საარჩევნო სუბიექტი ერთი თვის ვადაში წარადგენს მთლიანი საარჩევნო კამპანიის ანგარიშგებას, პოლიტიკური პარტიების გარდა საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენა შეუძლია საინიციატივო ჯგუფებსაც, რომლებზეც, ასევე, ვრცელდება საარჩევნო კამპანიის პოლიტიკურ ფინანსებთან დაკავშირებული რეგულაციები

თავი II. სახელმწიფო კანდიდატების შემოსავლები

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების ფინანსების ფორმირება იგივე წყაროებიდან ხდება როგორც დანარჩენ პერიოდში, მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ამ პერიოდში შემოსავლების მიმღები (ისევე როგორც ხარჯების გამწვევი) არის არა პარტია, არამედ პარტიის (ერთი ან მეტი პარტიის) დარეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტი. სუბიექტი თავის მხრივ ვალდებულია შექმნას საარჩევნო კამპანიის ფონდი, საიდანაც უნდა მოხდეს საარჩევნო კამპანიის დაფინანსება.

მოქმედი კანონმდებლობით საარჩევნო სუბიექტებს შემოსავლების მიღება შემდეგი წყაროებიდან აქვთ ნებადართული: 1. სახელმწიფო დაფინანსება (რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიისთვის პირდაპირ გადაცემულ თანხებს, არაპირდაპირ დაფინანსებას და გარკვეული ხარჯების ანაზღაურებას); 2. სანევრო შენატანები; 3. შემოწირულებები (მაქსიმუმ 60 000 ლარი ფიზიკური პირიდან და 120 000 ლარი - იურიდიული პირებიდან); 4. სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოთვენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მონყობით, აგრეთვე, საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი; 5. საბანკო სესხები.

საანგარიშო პერიოდში კვლევის სუბიექტებმა სულ 6 762 283 ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღეს, აქედან ყველაზე მეტი – 4 145 207 (61%) ლარი სალომე ზურაბიშვილმა მიიღო, შემდეგ მოდის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე 1 360 023 ლარით, ხოლო მესამე ადგილს იკავებს „ევროპული საქართველოს“ მიერ წარდგენილი კანდიდატი დავით ბაქრაძე, მან საანგარიშო პერიოდში 864 046 ლარი მიიღო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანდიდატ გრიგოლ ვაშაძის შემოსავლებსა და ხარჯებში ჩვენ ასევე მოვიაზრებთ კოალიციაში „ძალა ერთობაშია“ შემავალ კიდევ ოთხი კვალიფიციური პარტიის შემოსავლებსა და ხარჯებს, რადგან მათ ღიად დაათქსირეს, რომ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი საარჩევნო მიზანი და ისინი მხარს ვაშაძის კანდიდატურას უჭერენ.

მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილი სახელმწიფო დაფინანსებას არ იღებს, მის მიერ მიღებული შემოსავლები მაინც დაახლოებით **სამჯერ** აღემატება გრიგოლ ვაშაძის და **ერთნახევარჯერ** - ხუთივე ოპოზიციური საპრეზიდენტო კანდიდატის ერთად აღებულ შემოსავლებს (იხილეთ დიაგრამა N1 და N2). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წინა არჩევნებში სახელისუფლებო და სხვა პარტიების დაფინანსებას შორის უფრო დიდი სხვაობა იყო, ვიდრე ახლა. ეს მათ შორის იმით არის გამოწვეული, რომ „ქართული ოცნება“ სახელმწიფო დაფინანსების მიმღები პარტიაა, სალომე ზურაბიშვილი კი - არა, ვინაიდან კანონმდებლობა დამოუკიდებელი კანდიდატების პირდაპირი წესით დაფინანსებას არ ითვალისწინებს.⁶

6 თუმცა გათვალისწინებულია არჩევნებში 10% ან მეტი მხარდაჭერის მოპოვების შემთხვევაში წინასაარჩევნო ხარჯების ანაზღაურება საარჩევნო კოდექსის 56-ე მუხლის შესაბამისად

ღიაზიანა N 1. საარჩევნო კანდიდატების შემოსავალი საარჩევნო კამპანიის პერიოდში

სალომე ზურაბიშვილი	4,145,207 ლ
გრიგოლ ვაშაძე*	1,360,023 ლ
დავით ბაქრაძე	864,046 ლ
დავით უსუფაშვილი	183,424 ლ
შალვა ნათელაშვილი	173,718 ლ
კახა კუკავა	35,866 ლ

მონაცემთა წყარო: საარჩევნო სუბიექტების ფინანსური დეკლარაციები.

*დაჯამებულია გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერი ხუთი საარჩევნო სუბიექტის შემოსავლები


ღიაზიანა N 2. საარჩევნო კანდიდატების შემოსავალი საარჩევნო კამპანიის პერიოდში გზიგოლ ვაშაძის მხარდამჭერი კვადიფიციური კანდიდატების ჩათვლით

სალომე ზურაბიშვილი	4,145,207 ლ
გრიგოლ ვაშაძე	907,268 ლ
დავით ბაქრაძე	864,046 ლ
დავით უსუფაშვილი	183,424 ლ
შალვა ნათელაშვილი	173,718 ლ
ზვიად მესატიშვილი	132,950 ლ
ზვიად იაშვილი	132,284 ლ
ზვიად ბაღდავაძე	117,200 ლ
მიხეილ ანთაძე	70,321 ლ
კახა კუკავა	35,866 ლ

მონაცემთა წყარო: საარჩევნო სუბიექტების ფინანსური დეკლარაციები.

დიაგრამა N3-ში ნაჩვენებია სუბიექტების მიერ მიღებულ შემოსავლები სამი ყველაზე მსხვილი კატეგორიის მიხედვით, ესენია საბიუჯეტო დაფინანსება, კერძო შემოწირულობები და საბანკო სესხები. დიაგრამიდან ჩანს, რომ სალომე ზურაბიშვილის, გრიგოლ ვაშაძის და დავით ბაქრაძის გარდა, დანარჩენი კანდიდატების შემოსავლებს ძირითადად საბიუჯეტო დაფინანსება შეადგენს.

დიაგრამა N3. საარჩევნო კანდიდატების შემოსავლის ძირითადი კატეგორიები



მონაცემთა წყარო: საარჩევნო სუბიექტების ფინანსური დეკლარაციები.

*დაჯამებულია გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერი ხუთი საარჩევნო სუბიექტის შემოსავლები

ღიარება N 4. საჩივრების კანდიდატის მიერ მიღებული პირადი საჩივრების დაფინანსება

გრიგოლ ვაშაძე*	666,134 ლ
დავით ბაქრაძე	259,032 ლ
დავით უსუფაშვილი	170,134 ლ
შალვა ნათელაშვილი	130,633 ლ
კახა კუკავა	28,770 ლ
სალომე ზურაბიშვილი	0 ლ

მონაცემთა წყარო: საარჩევნო სუბიექტების ფინანსური დეკლარაციები.

*დაჯამებულია გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერი ხუთი საარჩევნო სუბიექტის დაფინანსება

საანგარიშო პერიოდში საბანკო სესხით მხოლოდ სალომე ზურაბიშვილმა ისარგებლა. მან 1 ოქტომბერს „ბანკი ქართუსგან“ 1 მლნ ლარი ისესხა. წარდგენილ დეკლარაციაში არ არის მითითებული თუ რა პირობებით მიიღო ზურაბიშვილმა ბანკიდან სესხი, ვინაიდან დეკლარაციის ფორმაში გასული წლის შემდეგ შესაბამისი ველი აღარ არის. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, ამ სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 10%-ს შეადგენს, ხოლო ვადა სამ თვემდეა. 10 ოქტომბერს „ბანკი ქართუს“ სესხისთვის კიდევ ერთმა საპრეზიდენტო კანდიდატმა ზურაბ ჭაფარიძემ მიმართა, თუმცა ჯერ-ჯერობით უცნობია ბანკი რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

1. შემოწმება

პოლიტიკური პარტიის კერძო შემოსავლები საქართველოში ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევდა. განსაკუთრებულად საინტერესო კი შემოწმებულებებია. ვინაიდან საქართველო მცირე და ღარიბი ქვეყანაა, პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ დიდი რაოდენობის შემოწმებულების გაღების ფაქტები ყოველთვის იწვევს ხოლმე ლეგიტიმურ კითხვებს საზოგადოებაში იმის შესახებ, თუ ვინ დგას რეალურად ამ ფინანსური ტრანზაქციის უკან და საქმე ხომ არ გვაქვს კორუფციულ გარიგებასთან.

კორუფციული და უკანონო სქემების გაშიფვრა საკმაოდ რთულია, თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ გასულ წლებში ცდილობდა მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა საზოგადოებისთვის პოლიტიკური პარტიების შემომწმირველებისა და მათი ბიზნეს ინტერესების, ასევე, მათი კომპანიების მიერ გამართებული წესით მიღებული სახელმწიფო კონტრაქტების შესახებ.

ამ კავშირების უფრო ადვილად დადგენის მიზნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა -

საქართველომ” შექმნა სპეციალური ვებგვერდი www.politicaldonations.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია 2011 წლიდან 2018 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებული ყველა შემოწირულების შესახებ. ამასთანავე, ვებგვერდზე შესაძლებელია შემომწირველების ბიზნესინტერესების ნახვაც.

მიმდინარე საპრეზიდენტო კამპანია ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან მმართველ პარტიას ფორმალურად საკუთარი კანდიდატი არ ჰყავს და მან ღიად მოუწოდა საკუთარ მხარდამჭერებს, სალომე ზურაბიშვილისთვის შეენირათ თანხები. ეს გარემოება კითხვებს აჩენს, რამდენად მოექცევა მსგავსი შემოწირულებები კანონის ფარგლებში და რაიმე საეჭვო გარემოება ხომ არ გამოიკვეთება.

საანგარიშო პერიოდში საპრეზიდენტო კანდიდატებმა მთლიანობაში 4 226 120 ლარის ოდენობის შემოწირულება მოიზიდეს, საიდანაც 99% ფიზიკური პირების მიერ გაღებული თანხაა.

ამ თანხის უდიდესი ნაწილი 3 105 011 ლარი (73%) სალომე ზურაბიშვილმა მიიღო, შემდეგ მოდის გრიგოლ ვაშაძე 583 820 ლარით, დავით ბაქრაძე – 516 404 ლარით, დავით უსუფაშვილი – 13 290 ლარით, ვახა კუკავა – 6 596 ლარით და შალვა ნათელაშვილი - 1 000 ლარით. როგორც ვხედავთ, ზურაბიშვილის მიერ მიღებული შემოწირულებები დაახლოებით **ხუთჯერ** აღემატება გრიგოლ ვაშაძის და **ორნახევარჯერ** - ხუთივე ოპოზიციური კანდიდატის ერთად აღებულ შემოწირულებებს (იხილეთ დიაგრამა N5)



მონაცემთა წყარო: საარჩევნო სუბიექტების ფინანსური დეკლარაციები.

*დაჯამებულია გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერი ხუთი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული შემოწირულებები

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიები შემოწირულებების მოსაზიდად საჯარო ღონისძიებებსა თუ სხვა სახის კამპანიას თითქმის არ მიმართავენ. წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებში კარგად არის აპრობირებული ასეთი პარტიული კამპანიების ორგანიზება და ამომრჩევლის ფართო ჯგუფებზე გასვლა, რაც მათ შემოსავლების დივერსიფიცირების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, პარტიები რამდენიმე მსხვილ დონორზე არ არიან დამოკიდებული და ნაკლებად არიან გახვეული დაფინანსების კორუფციულ სქემებში. საქართველოში ამას ნაკლებად ვხვდებით, პარტიები დიდ წილად დამოკიდებული არიან სახელმწიფო დაფინანსებაზე. გამონაკლისი მმართველი და რამდენიმე ოპოზიციური პარტია, რომლებიც შემოწირულებებს კი იღებენ, თუმცა ისინი ძირითადად მსხვილ შემომწირველებზე არიან დამოკიდებული, რაც საზოგადოებაში ბევრი კითხვას აჩენს.

1.1. შემომწირველთა ბიზნის ინტენსიურობა და პირდაპირი სახელმწიფო კონტრაქტები

როგორც უკვე აღინიშნა, საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ მიღებული შემოწირულებების 99% ფიზიკურ პირებზე მოდიოდა. სხვადასხვა კანდიდატისთვის მხოლოდ ხუთმა იურიდიულმა პირმა გაიღო ჯამში დაახლოებით 35 000 ლარი.

სალომე ზურაბიშვილს 148 ფიზიკურმა პირმა შესწირა თანხა, რომელთაგან 92 ადამიანი 356 სხვადასხვა იურიდიულ პირთან არის დაკავშირებული (მენილე ან დირექტორი). ამ 356 იურიდიული პირიდან სულ 18 კომპანია იყო ისეთი, რომლებმაც 2018 წელს⁷ მინიმუმ ერთი გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტი მაინც მიიღეს. აღნიშნული კონტრაქტების ჯამური ღირებულება 243 875 ლარი იყო, ხოლო ამ 18 კომპანიასთან დაკავშირებულმა პირებმა ზურაბიშვილს ჯამში 815 008 შესწირეს. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით რაიმე პრობლემური ტენდენცია არ იკვეთება.

1.2. მაღალი რისკის შემთხვევი შემომწირველები

კვლევის ინტერესის საგანი, ასევე, იყო მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის ისეთი შემომწირველები, რომლებიც შესაძლოა პარტიების დაფინანსების არაკანონიერი სქემების მონაწილე იყვნენ. გარდა ამისა, შვეიცარიულმა ზურაბიშვილის ის დონორები, რომლებიც გასულ წლებში სხვა პარტიებს სწირავდნენ. სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის დაფინანსება კანონით დაშვებულია, თუმცა ვფიქრობთ, საზოგადოება ინფორმირებული უნდა ასეთი პირები ვინაობის შესახებ.

1.2.1. საპარლამენტო მესამე პირის მეშვეობით განხორციელებული შემომწირველები

ოქტომბრის დასაწყისში საზოგადოებისა და მედიის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 2 და 3 ოქტომბერს ჩაჩავას და ღუდუშაურის კლინიკების 15-მდე ექიმის მიერ მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ გაღებულმა შემოწირულობებმა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ამ კლინიკების თანამშრომლებმა ზურაბიშვილს ორი დღის განმავლობაში 100 000 ლარზე მეტი შესწირეს. რეპორტაჟებში, ასევე, საუბარი იყო იმაზე, რომ ზოგიერთი ექიმი საავადმყოფოს ადმინისტრაციამ დაიბარა და უთხრა, რომ ფული ზურაბიშვილისთვის უნდა შეეწირათ, თანხას კი თავად კლინიკის მფლობელები გამოყოფდნენ და უბრალოდ მედიკოსების პერსონალურ მონაცემებს გამოიყენებდნენ. ექიმებს დოკუმენტზე მოაწერიეს ხელი და უთხრეს, რომ მათი მონაცემები საჯარო არ გახდებოდა და თანხის გადარიცხვის ოპერაციაც თავად შეასრულეს.

7 31 ივლისამდე

ეს ფაქტები საჭიროებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლას, რადგან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მესამე პირის მეშვეობით განხორციელებულ შემოწირულებას, რაც ქართული კანონმდებლობით აკრძალულია და ითვალისწინებს ჯარიმას შეწირული თანხის ორმაგი ოდენობით.⁸

1.2.2. ანთროპულ რაოდენობა კაჩიის შემოწირულებები

საანგარიშო პერიოდში სალომე ზურაბიშვილის 148 შემომწირველიდან⁹ 46 პირია ისეთი, რომლებმაც წინა წლებში სხვა პარტიასაც შესწირეს თანხა. მათგან 41 ფიზიკური პირი „ქართული ოცნების“ ყოფილი შემომწირველია, რომლებმაც ზურაბიშვილს ჯამში 836 000 ლარი შესწირეს, რაც მთლიანი შემოწირულებების 28%-ია. გასულ წლებში იგივე პირებს „ქართული ოცნებისთვის“ ჯამში დაახლოებით 1 950 000 ლარი აქვთ შეწირული. ასევე, ზურაბიშვილის რვა შემომწირველს 2012 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ აქვს თანხები გაღებული ჯამში 425 000 ლარის ოდენობით. ცხრილში იხილეთ ასეთ შემომწირველთა სრული ჩამონათვალი.

⁸ <https://bit.ly/2NvCZBP>

⁹ ამ რიცხვში არ შედის ის 92 პირი, რომლებმაც სალომე ზურაბიშვილს სასარგებლოდ 30 თეთრი გადაარიცხეს

ცხრილი N1. სალომე ზურაბიშვილის იმ შემომწირველთა სია, რომლებმაც 2012-2017 წლებში სხვა სუბიექტებს შეწირეს თანხა (ლ)

N	სახელი გვარი	სალომე ზურაბიშვილისთვის შეწირული თანხა	2017		2016		2014		2013		2012	
			სუბიექტი	თანხა	სუბიექტი	თანხა	სუბიექტი	თანხა	სუბიექტი	თანხა	სუბიექტი	თანხა
1	კახა კალაძე	55,125	ქართული ოცნება	1,250	ქართული ოცნება	52,500	ქართული ოცნება	51,800			ქართული ოცნება	60,000
2	დავით დუგლაძე	10,000	ქართული ოცნება	60,000	ქართული ოცნება	50,000					ნაციონალური მოძრაობა	60,000
3	გოჩა ენუქიძე	60,000	ქართული ოცნება	50,000	ქართული ოცნება	55,000					ნაციონალური მოძრაობა	60,000
4	ზაზა ჩარკვიანი	20,000					ქართული ოცნება	15,000	ქართული ოცნება	20,000		
5	დავით ვაჰანაძე	5,000	ქართული ოცნება	20,000	ქართული ოცნება	10,000						
6	მალხაზ ყანჩაველი	5,000	ქართული ოცნება	50,000	ქართული ოცნება	50,000						
7	ზურაბ სვანიძე	5,000	ქართული ოცნება	30,000	ქართული ოცნება	40,000						
8	ირაკლი ქაფიანიძე	60,000	ქართული ოცნება	40,000	ქართული ოცნება	50,000						
9	შორენა ჭანკვეტაძე	9,000	ქართული ოცნება	20,000	ქართული ოცნება	10,000						
10	ზურაბ ბუბუტეიშვილი	50,000	ქართული ოცნება	60,000	ქართული ოცნება	60,000						
11	ლევანი ჩიკვაძე	500			ქართული ოცნება	27,900			ქართული ოცნება	20,000		
12	ნიკოლოზ კინტრაია	20,000	ქართული ოცნება	40,000	ქართული ოცნება	60,000						
13	დავით შენგელია	60,000	ქართული ოცნება	55,000							ნაციონალური მოძრაობა	60,000
14	პალიკო კინტრაია	10,000	ქართული ოცნება	20,000	ქართული ოცნება	40,000						
15	დავით ბალანჩივაძე	55,000	ქართული ოცნება	60,000	ქართული ოცნება	60,000						
16	ალექსანდრე ივანიშვილი	45,000	ქართული ოცნება	30,000	ქართული ოცნება	30,000					თავისუფალი დემოკრატები	20,000*
17	ზურაბ დარახველიძე	50,000			ქართული ოცნება	60,000						
18	გიორგი ნატროშვილი	24,000	ქართული ოცნება	30,000								
19	ნათია ხვისტანი	50,000	ქართული ოცნება	55,000								
20	თამარ ქაჩიბაია	5,000			ქართული ოცნება	15,000						
21	ნიკოლოზ ქსნელაშვილი	8,000			ქართული ოცნება	40,000						

* ალექსანდრე ივანიშვილმა 2012 წელს 20-20 ათასი ლარი შეწირა ასევე „ეროვნულ ფორუმს“ და „რესპუბლიკურ პარტიას“

22	მარინე არჩვაძე	5,000			ქართული ოცნება	15,000							
23	მარიამ ხოსროშვილი	5,000			ქართული ოცნება	15,000							
24	ლელა ჩხიკვაძე	5,000			ქართული ოცნება	8,000							
25	ხათუნა ვაშაძე	1,300			ქართული ოცნება	50,000							
26	მარიკა ზარდიაშვილი	5,000			ქართული ოცნება	15,000							
27	ლელა ბრეგაძე	7,000			ქართული ოცნება	9,000							
28	ბეჟა კიკალეიშვილი	5,000			ქართული ოცნება	30,000							
29	ირაკლი ხახუბია	60,000										ნაციონალური მოძრაობა	10,000
30	ნატალია ფირცხალავა	8,000			ქართული ოცნება	20,000							
31	მარინა ტოკლიკიშვილი	7,000			ქართული ოცნება	8,000							
32	ჭიჭიკო გოლეთიანი	35,000										ნაციონალური მოძრაობა	60,000
33	ვაჟა ლევიშვილი	15,000	ქართული ოცნება	40,000									
34	ბონდო გოლეთიანი	25,000										ნაციონალური მოძრაობა	60,000
35	გიორგი ქსოვრელი	60,000										ნაციონალური მოძრაობა	60,000
36	ნიკოლოზ ქარცივაძე	50,000			ქართული ოცნება	40,000							
37	ქეთევან მიქაძე	1,401			ქართული ოცნება	15,000							
38	ალინა ჩხაიძე	5,000			ქართული ოცნება	15,000							
39	დომიტრი ადამია	60,000			ქართული ოცნება	30,000							
40	მერაბი ზუმბაძე	5,000			ქართული ოცნება	10,000							
41	მანანა ელისაშვილი	8,000			ქართული ოცნება	30,000							
42	თამარ გამგონეიშვილი	5,000			ქართული ოცნება	12,700							
43	მარიამ გოცირიძე	7,000			ქართული ოცნება	25,000							
44	გიორგი თავბერიძე	20,000			ქართული ოცნება	40,000							
45	მანანა მახარაძე	5,000	ქართული ოცნება	20,000									
46	შალვა ერისთავი	60,000										ნაციონალური მოძრაობა	55,000

თავი III. საარჩევნო კანდიდატების ხარჯები

საარჩევნო სუბიექტის მხოლოდ შემოსავლების დეკლარირება, ბუნებრივია, არ არის საკმარისი პარტიების სრული ფინანსური გამჭვირვალობისთვის, კანონმდებლობა საარჩევნო სუბიექტებს, ისევე როგორც არასაარჩევნო პერიოდში პარტიებს, ავალდებულებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ხარჯების დეტალური ანგარიშიც მიაწოდოს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია გაასაჯაროოს პარტიისგან მიღებული ინფორმაცია.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ კანონით რეგლამენტირებულია ხარჯების მაქსიმალური ოდენობა: პარტიის/საარჩევნო სუბიექტის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1%-ს. აღნიშნულ თანხაში, ასევე, შედის პარტიის/საარჩევნო სუბიექტის და მის სასარგებლოდ სხვა პირის მიერ გაწეული ხარჯები.¹⁰ ხარჯებში მოიაზრება არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებაზე და სხვა ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები, ასევე, უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის საქონელი და მომსახურება (ასახული საბაზრო ფასებით).

გარდა პარტიის საერთო წლიური ხარჯების შეზღუდვისა, კანონი, ასევე, აწესებს კონკრეტული ტიპის ხარჯების შეზღუდვას: პარტიის საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს წლის განმავლობაში ნებადართული მაქსიმალური ხარჯის (წინა წლის მშპ-ის 0,1%) 10%-ს.

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სახის სპეციალურ შეზღუდვას საარჩევნო კამპანიის დროს გაწეულ ხარჯებზე, მთავარია საარჩევნო სუბიექტის ხარჯვა თავსდებოდეს ზემოთ ჩამოთვლილ შეზღუდვების ფარგლებში.


საანგარიშო პერიოდში კვლევის სუბიექტების მიერ გაღებულმა ხარჯმა მთლიანობაში 6 911 676 ლარი შეადგინა (დიაგრამა N6). ხარჯების უდიდესი ნაწილი, 4 124 047 ლარი (60%) სალომე ზურაბიშვილმა გაიღო, მეორე ადგილზე გრიგოლ ვაშაძე¹¹ 1 485 604 ლარით, ხოლო მესამეზე - დავით ბაქრაძე 882 313 ლარით.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სალომე ზურაბიშვილის ხარჯები თითქმის **სამჯერ** აღემატება გრიგოლ ვაშაძის და **ერთნახევარჯერ** - ხუთივე ოპოზიციური საპრეზიდენტო კანდიდატის ერთად აღებულ ხარჯებს.

10 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 251 მუხლის 1 ნაწილი

11 გრიგოლ ვაშაძის ხარჯებში გაერთიანებულია მისი მხარდამჭერი ხუთი საარჩევნო სუბიექტის ხარჯი.

დიაგრამა N 6. საარჩევნო კანდიდატების ხარჯები საარჩევნო კამპანიის პერიოდში




მონაცემთა წყარო: საარჩევნო სუბიექტების ფინანსური დეკლარაციები.

*დაჯამებულია გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერი ხუთი საარჩევნო სუბიექტის ხარჯები.

კანდიდატები საარჩევნო პერიოდში ყველაზე დიდ თანხებს ხარჯავდნენ რეკლამაზე, უძრავი ქონების იჯარასა და ხელფასებზე (იხილეთ დიაგრამა N7).

დიაგრამა N7. საარჩევნო კანდიდატების ხარჯები სამი ყველაზე მსხვილი კატეგორიის მიხედვით




მონაცემთა წყარო: საარჩევნო სუბიექტების ფინანსური დეკლარაციები.

*დაჯამებულია გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერი ხუთი საარჩევნო სუბიექტის ხარჯები.

ხარჯებს შორის რეკლამის ხარჯები როგორც წესი, საარჩევნო სუბიექტების მთლიანი ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხოლმე. იგივე ტენდენცია გამოვლინდა ამ წინასაარჩევნო პერიოდშიც. ზურაბიშვილმა რეკლამაზე 3 368 507 ლარი (მთლიანი ხარჯების 82%) დახარჯა, რაც სხვა კანდიდატების ერთად აღებულ სარეკლამო ხარჯებზე **ორნახევარჯერ** მეტია. ექვსი საპრეზიდენტო კანდიდატის რეკლამაზე მთლიანად 4 678 893 ლარი დაიხარჯა, რომელშიც სალომე ზურაბიშვილის წილი 72% იყო (იხილეთ დიაგრამა N8).

ღიაზრება N8. კანდიდატების სარეკლამო ხარჯების წილობრივი გარჯენაბაი (%)




მონაცემთა წყარო: საარჩევნო სუბიექტების ფინანსური დეკლარაციები.

*დაჯამებულია გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერი ხუთი საარჩევნო სუბიექტის ხარჯები.

რეკლამის კატეგორიებს რაც შეეხება, ტრადიციულად, ყველაზე დიდი წილი სატელევიზიო და გარე რეკლამაზე მოდის (იხილეთ დიაგრამა N9). „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ წინასაარჩევნო პერიოდში საპრეზიდენტო კანდიდატების ამ ორი სარეკლამო ხარჯის პარალელურ მონიტორინგს ახორციელებს, რომლის შედეგებიც საბოლოო ანგარიშში იქნება წარმოდგენილი.

ღიარება N9. საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო ხარჯები ჩაკდამის კატეგორიების მიხედვით



მონაცემთა წყარო: საარჩევნო სუბიექტების ფინანსური დეკლარაციები.

*დაჯამებულია გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერი ხუთი საარჩევნო სუბიექტის ხარჯები.

კვლევის შესავალში აღვნიშნეთ, რომ 25 დარეგისტრირებული საპრეზიდენტო კანდიდატიდან, ზოგიერთი ე.წ. „ტექნიკური კანდიდატი“ იყო, ანუ მათ რეალურად საკუთარი საარჩევნო მიზნები არ გააჩნიათ და სხვა კანდიდატის მხარდაჭერაზე არიან ორიენტირებული. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვექონდა საქმე, როდესაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ უფასო სატელევიზიო რეკლამის მონიტორინგისას აღმოაჩინა, რომ რვა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი საკუთარ დროს სხვა საპრეზიდენტო კანდიდატებს უთმობდნენ, რაც შემოწმებულია უნდა იქნეს მიჩნეული.¹²

ამის ნათელი დადასტურება იყო „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ე.წ. „ტექნიკური კანდიდატის“, ზვიად იაშვილის მიერ წარდგენილი ფინანსური დეკლარაცია, საიდანაც ირკვევა, რომ ამ კანდიდატმა 200 000 ლარის ღირებულების რეკლამა განათავსა სხვადასხვა

12 <https://bit.ly/2A6TfFV>

ტელევიზიაში და რეკლამირების ობიექტი იყო „გრიგოლ ვაშაძე, გაერთიანებული ოპოზიცია“.¹³ ეს არის ცხადი შემთხვევა ერთი პარტიის მიერ მეორე პარტიის/სუბიექტის სასარგებლოდ შემოწირულების გადებისა, რაც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების“ შესახებ კანონით აკრძალულია და ისჯება შემოწირულების ორმაგი ოდენობის ჯარიმით.

გემოთ აღნიშნულ რეკლამების შესწავლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო, თუმცა ჯერ-ჯერობით მას გადაწყვეტილება არ მიუღია. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი რეკლამები ტელეარხებზე კვლავ გადის.

საპრეზიდენტო კანდიდატების ხარჯების შესწავლისას, ასევე, ყურადღება მიიპყრო სალომე ზურაბიშვილის მიერ შრომის ანაზღაურების მიზნით გაღებულმა ხარჯებმა (იხილეთ დიაგრამა N10). იმის ფონზე რომ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მან 4 მლნ ლარზე მეტი დახარჯა, ქვეყნის მასშტაბით აქვს 80 ოფისზე მეტი და ათეულობით წინასაარჩევნო შეხვედრა გამართა, შრომის ანაზღაურებაზე 19 625 ლარი საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. შედარებისთვის, ზოგიერთ სხვა კანდიდატს დაახლოებით **ათჯერ** მეტი თანხა აქვს ამ ტიპის ხარჯებში დეკლარირებული.



მონაცემთა წყარო: საარჩევნო სუბიექტების ფინანსური დეკლარაციები.
 *დაჯამებულია გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერი ხუთი საარჩევნო სუბიექტის ხარჯები.

13 იხ. პ.გ. „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის“ 12.09-2.10 საანგარიშო პერიოდის დეკლარაცია, ფორმა N5.5, <https://goo.gl/mwkWQK>

თავი IV. ფინანსების გამჭვირვალობა და მასზე ზედამხედველობა

პოლიტიკური გაერთიანებებისთვის/საარჩევნო სუბიექტებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადების ვალდებულების არსებობა და მათი ღიაობა მნიშვნელოვანი ელემენტია გამჭვირვალობის და საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოებაში ნდობის ჩამოსაყალიბებლად. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშვალდებულების პროცესი იყოს იმგვარად განერილი, რომ, ერთი მხრივ, ეფექტურად უზრუნველყოფდეს კონტროლის განხორციელებას, ხოლო, მეორე მხრივ, არ ქმნიდეს გადაჭარბებულ ტვირთს პოლიტიკური სუბიექტებისთვის.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს, როგორც პერიოდული, ასევე კონკრეტულ საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ანგარიშების წარდგენის ვალდებულებას. საარჩევნო პერიოდში არჩევნების დანიშვნის დღიდან სამ კვირაში ერთხელ საარჩევნო სუბიექტები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგენენ ფინანსურ ანგარიშს დადგენილი ფორმით და გრაფიკით.

პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი, პროფესიული ორგანოს არსებობას, რომელიც ეფექტურ ზედამხედველობას გაუწევს საარჩევნო სუბიექტების მიერ კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას. ქართული კანონმდებლობით პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის მანდატი სწორედ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აქვს მინიჭებული. იგი ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

1 აგვისტოდან 15 ოქტომბრის ჩათვლით თითოეულმა საარჩევნო სუბიექტებმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უკვე ოთხი დეკლარაცია წარუდგინა, რომლებიც გამოქვეყნებულია ამ უწყების ვებგვერდზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, ყველა საარჩევნო სუბიექტმა დროულად ჩააბარა ყველა ანგარიში. მიუხედავად ამისა, წინა არჩევნების მსგავსად, **მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საარჩევნო სუბიექტების ანგარიშგების სრულყოფილად შევსება. დეკლარაციების აბსოლუტური უმრავლესობა არასრულად და არაერთგვაროვნად არის შევსებული. ანგარიშგების ბევრ ველში სავალდებულო ინფორმაცია საერთოდ არ არის მითითებული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საარჩევნო სუბიექტებმა კარგად არ იციან თუ როგორ უნდა შეივსოს დეკლარაციები და რა ინფორმაცია რა ფორმით უნდა იყოს მითითებული, ან კიდევ შეგნებულად არ ავსებენ სწორად.**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურიც უკვე წლებია ვერ ახერხებს ამ პრობლემის აღმოფხვრას. განსაკუთრებულად რთული მდგომარეობა არის ხარჯებზე ზედამხედველობის კუთხით. აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ მათ ამისთვის საკმარისი რესურსი არ გააჩნიათ.

გარდა ამისა, არაეფექტურია ამ უწყების რეაგირება საარჩევნო სუბიექტების მიერ საეჭვო გარემოებებში მიღებული შემოწირულების შესწავლის მხრივაც. გადამოწმების პროცესი დიდხანს იწელება და საბოლოოდ შედეგიც არ არის ხოლმე დამაკმაყოფილებელი. საანგარიშო პერიოდში აუდიტის სამსახურს ჯერ-ჯერობით არც ერთი დარღვევა არ გამოუვლენია.

საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამონწვევად კვლავ რჩება სოციალური ქსელებში, ძირითადად „ფეისბუქში“, გავრცელებული სხვადასხვა ტიპის დაფინანსებული პოლიტიკური შინაარსის საინფორმაციო მასალა, რომლის დამკვეთიც არ არის საჯარო. აღნიშნული ინფორმაცია ვრცელდებოდა ტექსტის, ვიდეოს ან ფოტოს ფორმით და გააჩნია გამოკვეთილი პოლიტიკური ხასიათი. იგი, როგორც წესი, ემსახურება ამა თუ იმ პოლიტიკური კანდიდატის თუ საჯარო პირის ანტირეკლამას. ცხადია, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკური მიზნით დახარჯულ აღურიცხავ თანხასთან, რომელიც შესაძლოა ემსახუროდეს კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვების გვერდის ავლას. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ვერ ახერხებს ასეთი ტიპის რეკლამის დამკვეთის შესახებ ინფორმაციის მიღებას „ფეისბუქის“ მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის გამო.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მაღალი რისკის შემცველი შემონირულებების იდენტიფიცირების საკითხს. საჭიროა, ასეთი შემონირულებების მაქსიმალურად მოკლე ვადაში შესწავლა, რათა გაიზარდოს ამ უწყების მუშაობის ეფექტურობა და მის მიმართ საზოგადოების ნდობა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა შეისწავლოს რვა საარჩევნო სუბიექტის მიერ უფასო პოლიტიკურ რეკლამის სხვა სუბიექტებისთვის გადაცემის საკითხი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს პოლიტიკური პარტიების შესაძლებლობების გაძლიერებას ფინანსური ანგარიშგებების შევსების კუთხით. ასევე, უფრო მეტად უნდა ჩაუღრმავდეს დეკლარაციების შინაარსს (განსაკუთრებით ხარჯების ნაწილს) და საჭიროების შემთხვევაში უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ასევე, უნდა დაინტერესდეს შრომის ანაზღაურებაზე სალომე ზურაბიშვილის მიერ განეული ხარჯებით და შეისწავლოს, რამდენად სარწმუნოა მის მიერ წარდგენილ დეკლარაციებში მოცემული რიცხვები;
- სასურველია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ფინანსური ანგარიშგების შაბლონში დააბრუნებს ფორმა N9.7.1, რომელშიც პოლიტიკური პარტიები/საარჩევნო სუბიექტები მიუთითებენ დეტალურ ინფორმაციას მათ მიერ აღებული სესხის შესახებ;
- სასურველია, პოლიტიკურმა პარტიებმა / საარჩევნო სუბიექტებმა სხვადასხვა დონის დივებისა თუ კამპანიების მეშვეობით უფრო მეტი აქცენტი გააკეთონ შემონირულებების მოზიდვაზე. როგორც წესი, ასეთ დროს პარტიები რამდენიმე მსხვილ დონორზე არ არიან დამოკიდებული და ნაკლებად არიან გახვეული დაფინანსების კორუფციულ სქემებში.